# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 95. ‖ კვირა, 23 თებერვალი 1903 წ. ‖ გაზეთის № 2077.


## „ГОРЬКО, ГОРЬКО!“

(ამბავი)

### I

შემოდგომის შავ-ბნელი ღამე იყო. ნესტით გაჟღენთილი ბურუსი ჩამოსწოლოდა ქალაქის ქუჩებს და ისე ჩამოებნელებინა მიდამო, რომ კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. ჟინჟღლავდა კიდეც. დრო გამოშვებით წამონაბერი ქარი კვნესით შემოურბენდა ხოლმე ქალაქს და ბრაზ-მორევით აწყდებოდა უადგილო ადგილას გაჩხირულ სახლებს. მთელი ქალაქი გულჩათხრობილიყო, ძილს მისცემოდა. არ ეძინა მხოლოდ პეტრე თითაშვილის სახლობას.

ფართო და თბილ ოთახში რამდენიმე მკერვალი ქალი ჩამომწკრივებულიყო, დაეწყოთ მუხლზე საკერავები და გამალებული ჰკერავდნენ. იატაკზე დასტა-დასტა შეკერილი ტანისამოსი და საცვლები ეღაგა, მთელი ზღვა „ვიშივკა-პროშივკების“ ლამპრის შუქზე თოვლივით ქათქათებდა. ჩასუქებული

— ღმერთმა გაგიბედნიეროთ, ბატონო! რა შორს ეგ მიდის: მთაწმინდიდან მიხეილის პროსპექტზე გამოიჭიმება!— ღიმილით ჩამოართვა სიტყვა მართას ერთმა მკერვალთაგანმა და თავის მეზობელს მუჯლუგუნი წაჰკრა,— „პროშივკა“ მომაწოდეო.

— ენაცვალოს დედა, ღირსი არ არის თუ?! — დაიწყო ისევ მართამ.

— ღირსი როგორ არ არის, ბიჩა! ლამაზი, ნასწავლი ქალი და ამოდენა მზითევი!—ყრუთ ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— ყმაწვილიც კარგია: ახალგაზდა, ექიმი.

— ხუმრობაა!—სიტყვა გააწყვეტინა მეორე მკერვალმა და მაკრატელი აახაკუნა.

— დიახ, ექიმი... ექიმი!—უაზრო ამოოხვრით წაიდუდუნეს რამდენმამე და საკერავ მაშინებს ჩხრიალი აუყენეს.

— ლამაზია სასიძო?—იკითხა იმან, რომელმაც პირველად გვირისტი გაათავა.

— ლამაზიცაა და ნასწავლიც, მაშ!—ყელის მოღერებით უპასუხა მართამ. ქალებმა მაშინები გააჩერეს. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო საკერავების შრიალი არღვევდა ყრუ მდუმარებას.



გული სძლევს ტვინს.—სურათი ჰოლცაფელისა.

დიასახლისი დოინჯ-შემოდგმით მიმოდიოდა ოთახში და მკერვალ ქალთ მედიდურის ღიმილით დასძახოდა:

— აბა, დააჩქარეთ, გეთაყვა... მალე გაათავეთ. ხვალ საღამოსთვის ყველაფერი მზად უნდა გვქონდეს, თორემ მერე ქორწილი ველარ მოხერხდება... დაგვიმარხვდება. ენაცვალოს დედა ჩემ ფეფიკოს, ხვალ კიდევ იქნება ჩემთან და მერე კი გამიფრინდებააა!—ჩამღერით დააბოლავა მართამ და ამ ჩამღერებაში მთელი თავისი სიამაყე ჩააქსოვა.

— ძლივს არ დავიძიძევე! როდის ხანია თვალი მეჭირა მაგ ყმაწვილზედ!—როდის როდის დაარღვია სიჩუმე მართამ, მაგრამ მართა სტყუოდა. ვანო ჩოფურაშვილის არსებობა,ვიდრე იგი ექიმის დიპლომს არ მიიღებდა, მართამ არც კი იცოდა. ვანო, როგორც ჩვენის სტუდენტების უმრავლესობა, ერთ ფეროვნათა და სილარიბეში ატარებდა დროს. ნახევრად მშიერი, გახუნებულ სტუდენტურ ტანისამოსში გამოწყობილი, ზაფხულობით ერთგულად სტკეპნიდა გოლოვინის პროსპექტის

ფილაქანს, ხოლო ზამთრობით კი, იქ, რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში, სიცივისაგან ცხრად მობლუნძული, ადუღებულის წყალით იჭყიპებოდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც ტფილისის სასულიერო სემინარია გაათავა (სადაც ლობიო მაინც ბლომად იყო) და უნივერსიტეტში შევიდა, მუცელი რიგიანად არ გასძღომია. მუდამ გაჭირვებაში მყოფს აქ, ჩვენში, გროშობით უგროვებდნენ ფულებს, რუსეთში კი სტუდენტების კასსა ეხმარებოდა, რომლის ვალი დღესაც, მგონი, გადაუხდელი აქვს. ნამდვილად ვერ მოგახსენებთ, გულმოდგინედ ეკიდებოდა თუ არა ჩოფურაშვილი მეცნიერების შესწავლას მაინც. მხოლოდ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ, საზოგადოდ, მშიერ-მწყურვალი ადამიანი ბევრს ვერაფერს გააკეთებს. მართალია, არიან ნიჭისა და მედგარის ხასიათის პატრონები, რომლებიც ყოველგვარ გაჭირვებასა სძლევენ, აქვე, დაჭაბუკებისათანავე, ჩაუდგებიან ხოლმე სათავეში თავის წრის ხალხს, თავისს ამხანაგებს, მათ ხელმძღვანელობას უწევენ, მათ ჭირსა და ლხინს იზიარებენ, მაგრამ ჩოფურაშვილი ამგვართაგანი არ იყო. ყოვლად უნიჭო და ჩოფურაშვილი მარტოდენ ექიმია. თუ სტუდენტობაში ძალიან უნებურად დახეულის ფეხსაცმელებითა და გახუნებულის მუნდირით დადიოდა, დღეს ძვირფასს ტანისამოსშია გამოწყობილი, თუ წვიმა-ძანძახში კონკაზედაც კი ვერ დაუჯდებოდა ხოლმე და აბუზული წიწილასავით მისტოპავდა ლაფში, ახლა, მშვენიერ ზაფხულის დღესაც კი, უეტლოდ არა კადრულობს ღარიბ ავადმყოფთან მისვლას.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ვანომ მიაღწია გულის საწადელს, — გადიდკაცდა. აღარ ახსოვს თავისი ვინაობა, ნაამხანაგრებს, იმათ, ვისაც არა ერთხელ გაუწევიათ ვანოსათვის ზნეობრივი თუ ქონებრივი დახმარება, და ვისაც მაღალი სწავლა ვერ მიუღიათ, — ვეღარა სცნობს, ქართულ თეატრში არა კადრულობს სიარულს, ქართული საქმე არა სწამს, ის „მეცნიერებას“ ემსახურება. სურს, რომ ქვეყანა ავადმყოფებით აივსოს, რადგანაც სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა გამოკვლევით საექიმო მეცნიერება გაფართოვდება, გამდიდრდებაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ვანო ჩოფურა ვილი, მარტო იმითი არ გახდა შესანი-



სოფლის სურათი. გუთანზე. — ნახშირით დახატული გოგიაშვილის მიერ.

მუზმუზელა, იგი მარტო ერთის გულის თქმით იყო გატაცებული: მას სწყუროდა მაღალის სწავლის, უკეთ რომ ვსთქვათ, მაღალის დიპლომის მიღება მარტო იმიტომ, რომ სიღარიბისათვის თავი დაეღწია და „ხალხში“ გარეულიყო.

ამხანაგებში თავისზე უხეიროებთან თუ დაიკვეხებდა რასმე, თორემ უკეთესებსა და შესმენილთა შორის იგი ყოველთვის უკან იდგა ხოლმე და ერიდებოდა კიდეც. არც ერთ საერთო საქმეში ვანოს მონაწილეობა არ მიუღია. დაატყობდა თუ არა, რომ საფრთხე მომელისო, გულ-სწრაფი მერცხალივით მაშინვე სამშობლოში მოფრინდებოდა ხოლმე და სამშვიდობოს მოსული, ისეთის თავ-გამოდებით მოჰყვებოდა ამხანაგების ამბავს, გეგონებოდათ ქვეყნის აზარმაცი მარტო ესა ყოფილაო. ბევრს ატყუებდა კიდეც, ბევრს სწამდა მისი ნამოქმედარი, ეგონათ ცხოვრებაში ერთი მებრძოლთაგანი ესეც იქმნებაო, მაგრამ სიტყვები სიტყვებად დარჩნენ და დღეს ვანო

შნავი, რომ იმ თავითვე „წმინდა მეცნიერების“ მიმდევარი შეიქმნა, მას სახელი გაეთქვა აგრეთვე იმითი, რომ ვანო „სასარგებლო სასიძოდ“ აღიარეს.

მიიღო თუ არა ადგილი ტფილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში, მოაწყო თუ არა კაბინეტი ტელეფონ-სადოსტაქრო-საშხაპუნებელ და სამიკროსკოპიო მანქანებით, მაშინვე ბუზებივით დაეხვივნენ გასათხოვარი ქალები, ხოლო მათი დედ-მამანი კი დასტა-დასტა ასიგნაციებს შეჰპირდნენ. ჩვენში გრძნობა გონებით ისე ვაჭრობენ, როგორც ისპანახით და საკვირველი რაღაა, რომ ყველა მოგებასა სცდილობდეს!

გადიდკაცებული ვანო ჩოფურაშვილი ულვაშებ ქვეშ იღიმებოდა და ქორივით თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ბოლოს არჩევანი პეტრე თითაშვილის ქალს — ფეფიქოს ჰხვდა წილად.

— ნორჩი, ვარდის კოკორივით ლაქლაქა ქალი და ათასი მანეთებიც ქრთამი კარგი რამ არისო, გაიფიქრა ვანომ და ერთ

დღეს ფეფიკოს დედ-მამას ქალის ხელი სთხოვა. პეტრე და მართამ სიხარულით თავანკარა ტვინი დაჰკარგეს და საქორწილოდ მზადებას შეუდგნენ...

II

ნათქვამია: „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო.“ ჩვენ დროში ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზეა აშენებული და ვანო ჩოფურაშვილის ბედნიერებაც სხვას უბედურებად გარდაექცა.

იმ დროს, როდესაც მართა მკერვალ ქალებს აჩქარებდა, ფეფიკო შუბლით მიჰყრდნობოდა თავისს საწოლ ოთახის ფანჯრის მინას და გონება-დაფანტული გაჰყურებდა ქუჩის წყვდიადს. თვალით არა სჩანდარა. მხოლოდ იმავე ქუჩის მოსახვევში მდგომ ფარნის შუქი მომაკვდავივით ცახცახებდა და თავისს გარემოსს ოდნავ, სულ ოდნავ ანათებდა. ქალმა ძალა-უნებურად გაუშტერა თვალი ლამპრის ცამცამს და უკანასკნელ დღეებში ნახულ ნაგრძნობი ნელ-ნელა წამოეშალნენ გულ-გონებიდან.

ფეფიკო ჯერ სულ ახალგაზრდა, ასე 16-17 წლის, გოგონა იყო. ცხოვრებისა არა იცოდა რა, გაჭირვებისა არა გაეგორა. იგი აქნობამდე მარტო ოცნებითა და ცხოვრებაზე ყალბის წარმოდგენით სულდგმულებდა. დედმამისაგან განებივრებულს, ჩვენებურ ქალთა უფერულ სასწავლებელშიაც კი არ დაუსრულებია სწავლა. მესამე თუ მეოთხე კლასიდან მიატოვა სწავლა და სცხოვრობდა უზრუნველად, როგორც ბეღურა და დაცქრიალებდა, როგორც ფარვანა. სამაგიეროდ ბუნებას ფეფიკო დაეჯილდოვებინა მშვენიერის და თვალ-წარმტაცის გარეგნობით. ვით მარგალიტის ღილი მოვის პერანგზე, ვით ობლად მოციმციმე ვარსკვლავი ღრუბლებით დაფენილ ცაზე, ვით ნაადრევად გაშლილი ვარდი პირველ გაზაფხულზე—ისე შვენოდა ფეფიკო სხვა, თავისს ტოლებთა შორის და ადამიანის გაუმაძღარი თვალი იმაზე კეკლუცს ვერას წარმოიდგენდა. ეჭვ გარეშეა, რომ ამ გვარ გარეგნობასთან ფეფიკოს სულიერი მაღალი თვისება, რაიმე ნიჭიც არა ჰქონოდა, მაგრამ ნიჭი იგი დამარხული იყო, ვინაიდან ჩვენებური შეუგნებელი დედმამანი ქალიშვილს მარტო გასათხოვრად ამზადებენ, ქალს ისე



მსხვერპლი მტერისა.— სურათი დინგერისა.

უყურებენ, როგორც მარტო სასარგებლო სასიძოს საცოლეს, ცირებიც ჯერ თავზე ხელის მოსმას ვერ ასწრობენ, რომ ხდებიან მსხვერპლნი გათხოვებისა, დედმამის ქეიფზე დაბინავებისა. ჯერ მათი გული და გრძნობა დამწიფებული და განვითარებული არ არის ხოლმე, რომ იგინი უკვე დედები ხდებიან და ვინ იცის, ცნობას მოსულნი, რა ტანჯვაში ვარდებიან!...

ფეფიკოც ცხვარივით შეჰყურებდა მომავალს და ამ ჟამად მგლისგან მოტაცებულ ბატკანს მოგაგონებდათ.

—ხვალ თუ ზეგ ქმრიანი ვიქმნებიო, გულუბრყვილოდ გაუელვა თავში ფეფიკოს ახლო მომავალზე ფიქრმა და ნაღვლიანად გაეღიმა, გულმა წიწკვნა დაუწყო. მას დაენანა თავისი სიყმაწვილე, თავისი წარსული. თითონაც ვერ გეტყოდათ რად, მაგრამ უცბად გული გადმოუტრიალდა და ვანო ჩოფურაშვილის სახეს, რომელიც ოცნებამ თვალწინ დაუყენა, ნაღვლიანად დაუწყო თვალიერება.—ახმახი, უშნო, გაამაყებული ადამიანი, ერთი ჭკვიანური სიტყვა ჯერ არ უთქვამს—გაიფიქრა ფეფიკომ და მთელი თავისი წარსული ცხოვრება გაითვალისწინა.

სიყვარულით ფეფიკოს ჯერ არავინა ჰყვარებია, მაგრამ მოწონება-დაწუნების ჰანგს კი დიდი-ხანია შესჩვევოდა. მოსწონდა ხოლმე თავისი ტოლი მოწაფე ვაჟები, არჩევდა კიდეც, ვინ უფრო კარგი იყო იმათში, მაგრამ რასაც სიყვარულს ეძახიან, ჯერ არ გამოეცადნა. ჩოფურაშვილი პირველი კაცი იყო, რომელიც შეეხო მის გულის სიმებს და ზედ სიყვარულის სიმღერის დაკვრას ლამობდა, ვანო იყო პირველი, რომელმაც უთხრა, „მიყვარხარო“ და რომელმაც მოინდომა ფარდა აეხადნა ფეფიკოს კდემამოსილებისათვის, მაგრამ ფეფიკოს არავითარი სიამოვნება არ უგრძვნია ამ კაცის სიახლოვით. პირ-იქით, თითქოს შეეშინდა კიდეც იმისი, ფეფიკომ გაიხსენა ნიშნობის დღე, მოიგონა რა თავ-გამოდებით მიეტანა ჩოფურაშვილს საკოცნელად და გააჟრჟოლა... ყველა ულოცავდა პირველი შეუგნებელის ამბორის გაყიდვა, ყველა აღტაცებული იყო ამ დღეს, თვით ფეფიკოც რაღაც ბურუსში გაეხვია, მაგრამ იმ დღის შემდეგ კი სხვანაირი მოძრაობა დაიწყო ფეფიკოს უმანკო გულის თქმამ და მას შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა და ფეფიკო გამოიცვალა. სიყვარული, ქალ-ვაჟის ურთიერთობა, ცოლ-ქმრობა თან-და-თან განსაზღვრულ სახეს იღებდნენ მისს

გონებაში და, აი, დღეს უკვე იცის ფეფიკომ, რაცა ყოფილა გათხოვება. იგი უნდა მიეცეს იმ კაცს, რომელიც არა ჰყვარებია, არ უყვარს!

— მაშ ვინ უნდა მიყვარდეს? გაოცებით დაეკითხა ფეფიკო თავისს თავს და ერთი თვალის დახამხამებაზე ნაცნობ-მეგობარვაჟთა სურათებმა ჯარის-კაცებივით წინ გამოუქროლეს.

— ნიკო? კოწია? გიგო? არა, არა, არა! — ბუტბუტებდა ფეფიკო და თან-და-თან ელგზნებოდა.

— მაშ თედო? — უცბად გაუელვა თავში. ამ სახელის ხსენებაზე ფეფიკოს გულის სიღრმეში ჩამარხულმა, ბავშურის გულუბრყვილობის შარავანდედით შემკულმა შთაბეჭდილებებმა უცბად ფრთა გაშალეს, შეტორტმანდნენ და ფეფიკოს თვალის ქუთუთოებზე რაღაც ძლიერის და უცნაურის თბილის გრძნობისაგან ამონადუღი ცრემლები გადმოჰკიდეს.

იდგა ფეფიკო თვალებ დალებული, გული საშინლად უძგერდა, ხოლო გონება მისი კი გამოჰკიდებოდა თედოს, მასთან გატარებულ წუთებსა. მოაგონდა თედოს მოპყრობა, მისი დარიგებანი, მისი გაუბედავი წმინდა ალერსი, მოაგონდა როგორ სწყუროდა ხოლმე ფეფიკოსაც თედოს ნახვა, რა სიამოვნებასა ჰგრძნობდა ხოლმე მასთან ერთად და... გულმა კვნესა დაუწყო, თითქოს თანდათან იზრდებაო, მკერდი გაუფართოვდა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— თედო, თედო, შენთან უფრო ბედნიერი ვიქმნებოდიო!..

— მე ის მყვარებია... ახლა ვგრძნობ, რომ იმასაც უნდა ძრიელ ვუყვარდე... თედო! თედო! — გმინავდა ფეფიკო და თან მდუღარებით იცლებოდა. ეს იყო ცრემლი პირველის სიყვარულისა, ეს იყო ცრემლი პირველის გაადამიანებისა, თავისს თავის შეგნებისა.

ია ეკალაძე.

(დასასრული იქნება)

უცხო გამოცემებიდან



— იმასა ჰგონია ძალიან ენა-ტახტილიანია, რაკი იმის სულელურ ლაპარაკზე ყველა იცინის...



— მოწყალება მოიღეთ, მუნჯი, ბრმა და ყრუ მამა მყავს შესანახი!..

— მართალს ამბობს ჩემი ქალი, მართალს.



— როგორ, შენა გგონია ძალიან იაა ჩემი კაბა? ახლა ასეთი „მოდაა

— არ ვიცი, რა მოდაა, ტიტველა სიარული. მე ვფიქრობ, საცა სამართალია, უნდა აგიკრძალონ აგრე სიარული.



— ახლა მე აღარავისი იმედი არა მაქვს.

— მართალია, რაკი ადამიანს უბედურება დაემართება, მხოლოდ ერთად ერთი მეგობრის იმედი უნდა ჰქონდეს — თავის თავისა.



— როგორ, ერთი დედაკაცის მოკვლისათვის უნდა ჩამომახჩონ?

— თქვენი ბრალია, ექვსს მოჰკლავდით, ვინ გიშლიდათ, სასჯელი ერთია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Февраля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва ...ქტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.